

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 676

ქ. ბათუმი, 13 ივლისი 2017 წ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 23 დეკემბრის N1133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 23 დეკემბრის N1133 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

- ა) დავით კოპინაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხთა განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) დავით ოქრაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ქალაქგეგმარების და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

კომისიის წევრები:

- გ) ნინო ფუტყარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი

სპეციალისტი (კომისიის მდივანი);

- დ) ზაზა კახიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ე) რესან ქიქავა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ვ) ანზორ თაფლაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ზ) ედუარდ ნაკაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.“

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი